



ბრიუსელი, 22 მარტი 2017

ESN აღნიშნავს 30-ე წლის იუბილეს ბერლინში

ამა წლის 20-24 აპრილს, ბერლინი უმასპინძლებს ESN-ის ყოველწლიურ გენერალურ შეხვედრას, ESN-ის სტუდენტური კავშირის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ღონისძიებას.

AGM ეწყობა ყოველ წელს Erasmus Student Network-ის, როგორც ერასმუს თაობის დე-ფაქტო წარმომადგენლობა, AGM არის უდიდესი ევროპული სტუდენტური კონფერენცია, რომელიც ფოკუსირდება სტუდენტური მობილობის თემაზე და აერთიანებს 700-ზე მეტ მოხალისე სტუდენტს. ღონისძიება ორგანიზდება გერმანიისა და საფრანგეთის ასოციაციის წევრების მიერ და იმართება ბერლინში, რომელიც გადააქცევს ქალაქს „Erasmus-ის დედაქალაქად“ ოთხი დღის განმავლობაში.

AGM Germany 2017 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან აღნიშნავთ ერასმუსის პროგრამის 30-ე წლის იუბილეს. ამ მოვლენის აღსანიშნად მოეწყობა პანელური დისკუსია შემდეგ თემაზე: Erasmus-ის მობილობის სამი ათწლეული. სადისკუსიო პანელი ღია იქნება საზოგადოებისთვის და შეეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა: Erasmus-ის წარმატების მიზეზი და სტუდენტების სამომავლო მოლოდინები.

AGM-ის სხვა ძირითადი მახასიათებელი იქნება საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენა, სადაც ევროპის ასობით უნივერსიტეტის წარმომადგენელი სხვადასხვა დაწესებულებასთან ერთად, როგორცაა Deutsche Börse Groups, წარადგენენ სხვადასხვაგვარი სტაჟირებისა და საზღვარგარეთ სწავლის საშუალებებს. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენა გაიმართება **პარასკევს, 21 აპრილს, 11:00-დან 17:00 საათამდე, Freie Universität Berlin, Henry Ford-ის შენობაში**. ყველა ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი მოწვეულია.

მეცნიერებისა და კვლევის სახელმწიფო მდივანი ბერლინში და AGM Germany-ის მხარდამჭერი, **სტეფენ კრაჩი**, AGM-ის შესახებ შემდეგს ამბობს:

„გაერთიანებული ევროპის იდეა ყოველთვის უნდა დარჩეს მისი მხარდამჭერების იდეად და დაუახლოვოს ისინი ერთმანეთს. სწორედ ეს არის ის, რასაც იდეალურად ახერხებს Erasmus-ი“.

გაპყვეით ღონისძიებას სოციალურ ქსელში, გამოიყენეთ ჰაშთაგები **#AGMgermany** და **#THISisESN**. განახლებები დაიდება შემდეგ ლინკებზე: [facebook.com/AGMgermany2017](https://www.facebook.com/AGMgermany2017) და twitter.com/ESN_Int.

Erasmus Student Network არის უდიდესი სტუდენტური ორგანიზაცია ევროპაში. ის დაარსდა 1989 წლის 16 ოქტომბერს და ოფიციალურად დარეგისტრირდა 1990 წელს, როგორც სტუდენტური

PRESS CONTACTS

Lukas Iwan

Head of Organising Committee AGM Germany
+ 49 1766 4816 872 | lukas.iwan@agm-germany.eu

Gaffar Rampage

Communication Manager ESN International
+32 470 472 225 | communication@esn.org



PRESS RELEASE

ESN
INTERNATIONAL EXCHANGE
ERASMUS STUDENT NETWORK

გაცვლით პროგრამების მხარდამჭერი ორგანიზაცია. ჩვენ გვყავს წარმომადგენლები 900-ზე მეტ უმაღლეს დაწესებულებაში 40 ქვეყნის მასშტაბით. სტუდენტური კავშირი მუდმივად ვითარდება და ფართოვდება თავისი 15 000 აქტიური წევრით მენტორების მხარდაჭერით, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საერთაშორისო სტუდენტებზე. ამდენად, ESN მოიცავს დაახლოებით 34 000 ახალგაზრდას და სთავაზობს თავის მომსახურებას დაახლოებით 220 000 საერთაშორისო სტუდენტს ყოველწლიურად. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი გზით: **ESN's Media Kit**.

PRESS CONTACTS

Lukas Iwan

Head of Organising Committee AGM Germany
+ 49 1766 4816 872 | lukas.iwan@agm-germany.eu

Gaffar Rampage

Communication Manager ESN International
+32 470 472 225 | communication@esn.org